

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა
სოციალური დახმარების სტატისტიკა



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

შინაარსი

შესავალი	2
საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა და სოციალური პაკეტის მიმღები პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რაოდენობრივი მაჩვენებლები	4
პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო სუბსიდიასა და სოციალურ პაკეტებზე გაწეული ხარჯები	7
დასკვნა და რეკომენდაციები	9



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შესავალი

2020 წლის 24 აპრილს, IDFI-მ გამოაქვეყნა სტატია - „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის მექანიზმები საქართველოში და მათი შეფასება“. სტატიაში ხაზგასმულია, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ მემკვიდრეთა სოციალური დაცვისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობები არ არის საკმარისი მინიმალური ყოველდღიური ფინანსური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, დახმარება არაპროპორციულია იმ ზიანთან შედარებით, რომელიც რეპრესირებულმა პირებმა და მათმა შთამომავლებმა განიცადეს. არსებულ ვითარებაში, IDFI-ის ერთ-ერთ მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს რეპრესირებულ პირთა და მათ მემკვიდრეთა სოციალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდა, რეალური საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით.

მიმდინარე სტატიაში IDFI-ს მიერ გაანალიზებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის, ბოლო 10 წლის განმავლობაში სოციალურ დახმარებებზე (პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრეზე გაცემული ერთიანი ფულადი კომპენსაციების გარდა) სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს. კერძოდ, სტატიაში მიმოხილულია ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ დაწესებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა და სოციალური პაკეტების ბენეფიციარების და მათზე გაწეული ხარჯების სტატისტიკური მონაცემები. სტატიაში ასევე გაანალიზებულია, თუ რა ოდენობით საბიუჯეტო ხარჯთან იქნება დაკავშირებული რეპრესირებულთათვის განკუთვნილი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდა და მისი გათანაბრება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრებისთვის დადგენილ სუბსიდიასთან.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირებისთვის, 2007 წელს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების სუბსიდია. მისი ოდენობა შეადგენს 7 ლარს და 2007 წლის შემდეგ არ შეცვლილა. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის განკუთვნილია საყოფაცხოვრებო სუბსიდია 44 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სოციალურ პაკეტებს, ისინი 2012 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, რომლებიც 2013 წელს გაუმჯობესდა.

საყოფაცხოვრებო სუბსიდია:

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და მათი ოჯახების შრომისუნარო პირებს - 7 ლარი

სოციალური პაკეტი:

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვის - **107 ლარი**;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვის, რომლებიც ამავდროულად არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლოს მოქმედების მონაწილეები - **122 ლარი**;
- **7 ლარით** გაუმჯობესებული სოციალური პაკეტი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ჯგუფებს (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალ დაკარგული პირები და სხვა);

აღსანიშნავია, რომ რეპრესირებულ პირთათვის განკუთვნილი სოციალური და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის (7 ლარი) გაზრდას და მათ გათანაბრებას საყოფაცხოვრებო სუბსიდიის იმ ოდენობასთან (44 ლარი), რომელსაც იღებენ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრები უკვე წლებია ითხოვს საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალი“ და მისი თავმჯდომარე ბატონი გურამ სოსელია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მისი საკონსტიტუციო საჩივრის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს. კერძოდ, საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები – გურამ სოსელია და ავთანდილ იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების დასკვნით ნაწილში, სასამართლო მიმართავს საქართველოს პარლამენტს მოაწესრიგოს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის ელექტრონერგიის უფასო მოხმარების საკითხი იმის ანალოგიურად, როგორც განისაზღვრა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისთვის.¹

საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალმა“ და თავად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლმა, ბატონმა გურამ სოსელიამ, წლების განმავლობაში არაერთხელ მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თხოვნით, სახელმწიფოს დაეცვა კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის პრინციპი, ეღიარებინა რეპრესირებულ პირთა ისტორიული ღვაწლი და გადაედგა შესაბამის ქმედითი ნაბიჯები მათი დარღვეული უფლებების აღდგენისა და რეაბილიტაციის მიზნით. სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით მოცემულ ძალისხმევას შედეგი არ გამოუღია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის წერილით (იხ. დანართი N1), ბატონ გურამს ეცნობა, რომ რეპრესირებულ პირთათვის

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 31 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გურამ სოსელია და ავთანდილ იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=264>.

დაწესებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდა 7-დან 44 ლარამდე შეუძლებელი იყო იქიდან გამომდინარე, რომ ის არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტით.

2006 წლის პირველ იანვრამდე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლი მოიცავდა ჩანაწერს საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების შესახებ 50%-ის ოდენობით. აღნიშნული ვრცელდებოდა წყლის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, გაზის და თბოენერგიის, ისევე როგორც ტელეფონის სააბონენტო გადასახადებზე. რაც შეეხება ელექტროენერგიას, კანონი ადგენდა მის უფასო მოხმარებას თვეში 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვტ სთ-ის ოდენობით. დამატებით, საცხოვრებელი ფართის ქირის შეღავათებით სარგებლობდნენ პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო ფონდის სახლებში. კანონის მოცემული ჩანაწერი გაუქმდა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ (2006 წლის პირველი იანვრიდან).

საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა და სოციალური პაკეტის მიმღები პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რაოდენობრივი მაჩვენებლები

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ მათი რიცხვი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იკლებს. მაგალითად, 2010 წლის იანვრის მდგომარეობით, 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდიით სარგებლობდა 20,775 პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი, რომელთა რაოდენობა 2020 წლის იანვრის მდგომარეობით განახევრდა - 10,396 პირი.

რაც შეეხება 2012 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედებულ სოციალურ პაკეტებს, როგორც ირკვევა, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა უმრავლესობას აღნიშნული პაკეტებით არ უსარგებლია. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2012 წლის სექტემბერში უშუალოდ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტით დახმარება მიიღო მხოლოდ 1,642 პირმა.

სამწუხაროდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე, განცალკევებით არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია სოციალური პაკეტით გათვალისწინებულ სხვა სოციალურ ჯგუფებში შემავალი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალ დაკარგული პირები და სხვა) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირების მიერ 7 ლარით გაუმჯობესებული პაკეტით სარგებლობის შესახებ. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ 2012 წლის სექტემბერში საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლეთა რიცხვი, ამავე წლის აგვისტოსთან შედარებით ბუნებრივი კლების ჩათვლით მხოლოდ 2,958 პირით

შემცირდა² (საყოფაცხოვრებო სუბსიდიით და სოციალური პაკეტით ერთობლივად სარგებლობა შეზღუდულია), მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სოციალური პაკეტით სარგებლობა ბენეფიციართა მინიმუმ 83%-მა ვერ შეძლო.


პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა უმრავლესობის სოციალური პაკეტით სარგებლობის მიღმა დარჩენა განაპირობა დათქმამ, რომლის მიხედვით სახელმწიფო პენსიით და სოციალური პაკეტით ერთობლივი სარგებლობა დაუშვებელია. შესაბამისად, საპენსიო ასაკის რეპრესირებულმა პირებმა არჩევანი უფრო მაღალ სარგებელზე, სახელმწიფო პენსიაზე გააკეთეს, ხოლო სოციალური პაკეტით მხოლოდ საპენსიო ასაკს მიუღწევებელმა პირებმა ისარგებლეს. მაგალითად, სოციალური პაკეტების ამოქმედების საწყის ეტაპზე, 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით მოსარგებლე 1,642 პირიდან: 1 პირი იყო 40 წლამდე, 33 პირი ხვდებოდა 40-49 წლების ასაკობრივ ჯგუფში, 801 პირი - 50-59 წლების ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო 807 მათგანი იყო 59 წელს გადაცილებული.³ ბოლო, 59 წელზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში სავარაუდოდ მოხვდნენ მხოლოდ 59-65 წლის ასაკის მამაკაცები, რომლებსაც არ მიუღწევიათ საპენსიო ასაკამდე.

სოციალური პაკეტებით მოსარგებლეთა კლების ტემპი გაცილებით მაღალია, ვიდრე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა რაოდენობის კლების ტემპი. სოციალური პაკეტების ამოქმედების საწყის ეტაპზე, 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით მოსარგებლეთა მაჩვენებელი (1,642), 2020 წლის იანვრის მდგომარეობით 92%-ით შემცირდა (138 პირი), რაც უმეტესწილად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ საწყის ეტაპზე სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა უმრავლესობა წარმოადგენდა საპენსიო ასაკს მიახლოებულ პირს, ხოლო მომდევნო წლებში, საპენსიო ასაკის მიღწევასთან ერთად, უარი თქვეს სოციალური პაკეტით სარგებლობაზე.

² იხ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია, 2012 წელს საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლეთა რაოდენობის შესახებ, თვეების მიხედვით: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=747.

³ იხ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია, 2012 წელს სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა შესახებ: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=880

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის (7 ლარი) და სოციალური პაკეტის მიმღები
პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა სტატისტიკა
(ყოველი წლის იანვრის მდგომარეობით)



* მოცემულ სტატისტიკაში არ არის შეყვანილი 2012 წელს სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, რადგან აღნიშნულისათვის 2012 წლის სექტემბრიდან დაიწყო, შესაბამისად მოიცავს 2012 წლის მხოლოდ 4 თვის მონაცემებს.

სოციალური პაკეტით მოსარგებლე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობა ასაკის და სქესის მიხედვით

თარიღი	0-17	18-39	40-49	50-59	59-ზე მეტი	ქალი	კაცი	სულ
2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით	0	1	33	801	807	514	1 128	1 642
2020 წლის აპრილის მდგომარეობით	0	0	5	51	82	40	98	138


პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო სუბსიდიასა და სოციალურ პაკეტებზე გაწეული ხარჯები

საყოფაცხოვრებო სუბსიდიით და სოციალური პაკეტით მოსარგებლე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ყოველწლიური მნიშვნელოვანი ბუნებრივი კლების ფონზე, პროპორციულად იკლებს სახელმწიფოს მიერ მათ სოციალურ დახმარებებზე გაწეული ხარჯები. მაგალითად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა (7 ლარი) არ შეცვლილა თავდაპირველად განსაზღვრის, 2007 წლის შემდეგ. შესაბამისად, ამ სუბსიდიით მოსარგებლეთა კლების პირდაპირპროპორციულია მასზე გაწეული ხარჯების კლება. მაგალითად, 2010 წელს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიაზე სახელმწიფომ დახარჯა დაახლოებით 1,7 მილიონი ლარი, ხოლო 2019 წელს - 900 ათასი ლარი.


შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის წერილით, ბატონ გურამს ეცნობა, რომ რეპრესირებულ პირთათვის დაწესებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდა 7-დან 44 ლარამდე შეუძლებელი იყო იქიდან გამომდინარე, რომ ის არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტით.

სოციალური პაკეტების შემთხვევაში, სახელმწიფომ ყველაზე დიდი თანხა - დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი დახარჯა 2014 წელს, რაც განპირობებული იყო 2013 წლის სექტემბრიდან მოქმედი სოციალური პაკეტების გაუმჯობესებით.⁴ მაგალითად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის გათვალისწინებული 62 ლარიანი დახმარება გაიზარდა 107 ლარამდე, ხოლო მსგავსი აღიარების მქონე პირებისთვის, რომლებიც ამავდროულად არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები - 77 ლარიდან 122 ლარამდე; 2013 წლის შემდეგ, მიუხედავად სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა მნიშვნელოვანი კლებისა, დახმარების ოდენობა აღარ შეცვლილა, შედეგად 2019 წელს მსგავსმა ხარჯებმა მხოლოდ 256 361 ლარი შეადგინა.

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1991562>.



სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს შორის, ასევე წარმოდგენილია სოციალური პაკეტით მოსარგებლე, დევნილის სტატუსის მქონე პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რაოდენობრივი მონაცემები. როგორც ირკვევა, სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა შორის, 2020 წლის იანვრის მდგომარეობით, მსგავსი სტატუსით წარმოდგენილია მხოლოდ 8 პირი. სოციალური პაკეტის ფარგლებში, მათთვის განსხვავებული დახმარების მოცულობა არ არის გათვალისწინებული, ამიტომ ისინი სარგებლობენ სხვა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა მსგავსი პირობებით.



დასკვნა და რეკომენდაციები

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დახმარების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მსგავსი აღიარების მქონე პირების სათანადო დაფასებას. მათი ყოველწლიური ბუნებრივი კლების ფონზე, მრავალი წლის განმავლობაში საყოფაცხოვრებო სუბსიდიის სახით უცვლელად შემორჩენილი 7 ლარიანი დახმარება, შესაძლებელია მხოლოდ სიმბოლურ ხასიათის მატარებლად ჩაითვალოს, რაც ნაკლებად კავშირშია მათი მინიმალური ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილებასთან. ხაზგასასმელია ისიც, რომ 2006 წლის პირველ იანვრამდე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლი მოიცავდა ჩანაწერს საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების შესახებ 50%-ის ოდენობით. დამატებით, საცხოვრებელი ფართის ქირის შეღავათებით სარგებლობდნენ პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო ფონდის სახლებში. შესაბამისად, ცხადია რომ არსებული ჩანაწერის გაუქმებისა და 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დადგენით, მნიშვნელოვნად გაუარესდა რეპრესირებულ პირთათვის განკუთვნილი დახმარების ოდენობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის №1/1126, 129, 158 გადაწყვეტილებით დადგენილია პრინციპი, რომლის თანახმადაც სოციალური სქემების შეზღუდვისას სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, რომ აღნიშნული გამოწვეულია ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდით, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებით და სხვა ფაქტორებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კი აქვს უფლება საკუთარი სოციალური უფლებების დაცვის მიზნით მსგავს შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს.⁵ IDFI-ის მიერ განხორციელებული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე კი დგინდება, რომ საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იკლებს.

მოსარგებლეთა ბუნებრივი კლების ტემპის გათვალისწინებით, IDFI შეეცადა დაედგინა, თუ დაახლოებით რა ხარჯთან იქნება დაკავშირებული რეპრესირებულთათვის განკუთვნილი 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდა 44 ლარამდე. დადგინდა, რომ 2020 წლის მაისის თვიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 44 ლარამდე გათანაბრების შემთხვევაში (რითაც სარგებლობენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, 9 აპრილის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა) 2020 წლის მთლიანი ხარჯი განისაზღვრება დაახლოებით 3,8 მილიონი ლარით (ზრდა 2,95 მილიონი ლარი), ხოლო 2021 წლის ხარჯი - 5 მილიონი ლარით (ზრდა 4,2 მილიონი ლარი).

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/126,129,158, 2002 წლის 18 აპრილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1096951?publication=0>.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, სხვა სოციალური კატეგორიებისათვის განსაზღვრულ ოდენობასთან გათანაბრების შემთხვევაში სავარაუდო ხარჯები			
	7 ლარიანი სუბსიდია	44 ლარიანი სუბსიდია (ზრდა გათვალისწინებულია 2020 წლის მაისის თვიდან)	სხვაობა
2020 წლის სრული ხარჯი	850 ათასი ლარი	3,8 მილიონი ლარი	+2,95 მილიონი ლარი
2021 წლის სრული ხარჯი	800 ათასი ლარი	5 მილიონი ლარი	+4,2 მილიონი ლარი

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური პაკეტით გათვალისწინებული დახმარებების ოდენობის ზრდა და არსებულ მინიმალურ ფინანსურ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული ინიციატივის სისრულეში მოყვანა, სრულიად რეალურია იმ ფონზე, როდესაც სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და სუბსიდიის ზრდა სახელმწიფოსგან განსაკუთრებულად დიდი ოდენობის ფინანსურ რესურსს არ მოითხოვს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისთვის დაწესებულ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობებს შორის, ყველაზე დაბალი, 7 ლარიანი დახმარება (ჩერნობილის ბირთვული ობიექტის შემხებლობაში მყოფ პირებთან ერთად), სწორედ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვისაა გათვალისწინებული. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვა სოციალური კატეგორიებისთვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობებიც (44 ლარი) ვერ პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

N7 28 პირი



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA



KA030161836407516

საქართველო, თბილისი 0159, აკ წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი: (+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 33; 15 05; ელ. ფოსტა: info@msh.gov.ge

144 Ak Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax: (+995 32) 251 00 19; Hot line: (+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@msh.gov.ge

№ 01/20678

16 / მარტი / 2016 წ.

საქართველოს სამხედრო პერიოდის პოლიტიკური
რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის
საზოგადოებო - „მემორიალის“ თავმჯდომარეს ბატონ
გურამ სოსელიას
მის: ქიქოძის ქ. №15, ბ. 11

ბატონო გურამ,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის
დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის 10 მარტის №27318
წერილით შემოსული თქვენი განცხადება, რომელიც ეხება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ
პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის - 44 ლარამდე გაზრდის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ სოციალური გასაცემების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოს სსიპ
სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებული მონაცემთა ელექტრონული ბაზის მიხედვით, 2016
წლის თებერვლის მდგომარეობით, სოციალურ პაკეტს („სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ 2012 წლის
23 ივლისის საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად) იღებს
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული - 735 პირი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საყოფაცხოვრებო სუბსიდია, როგორც ცალკე აღებული ბენეფიტი, 2012 წლის 1
სექტემბრიდან ენიშნებათ სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ იმ პირებს (მათ შორის
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუნარიო წევრებს),
რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მომენტისათვის კომპეტენტურ ორგანოში - სსიპ სოციალური
მომსახურების სააგენტოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებად.

საყოფაცხოვრებო სუბსიდიას, მ/წ თებერვლის თვის მდგომარეობით, („სოციალური შეღავათების მონეტიზაციის
შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად) -
იღებს 12 937 პირი. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნულ პირთათვის
გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის - 44 ლარამდე გაზრდის შესახებ, თვეში დამატებით
საჭირო თანხა შეადგენს - 478 669 ლარს, ხოლო წლის განმავლობაში - 5 744 028 ლარს, რაც არ არის
გათვალისწინებული „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულ
ასიგნებათა ფარგლებში.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით განსაზღვრული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის
გაზრდის თაობაზე, ანალოგიური მოთხოვნა აქვთ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ სხვა კატეგორიებსაც (ქ.
თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი
აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს, სამხედრო ძალების ვეტერანებს, ჩერნობილში ზირთულ
ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის შპმ პირებს და სხვ), შიშოდ პოლიტიკური
რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის გაზრდა, გამოიწვევს

2003 წ. 12/11/11 ბიუჯეტის ინიციატივა 1.403.900 000 ლარი. მხარია -
8,555 მილიარდი -

2014 წლის დეკემბერი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
დეპარტამენტის მიერ განხილული განცხადება
N7 28 პირი

1 პირი და 100 000 000 000 ლარი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს)

ზემოაღნიშნულ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა სამართლიან უკმაყოფილებას ანალოგიური შეღავათით სარგებლობის მოთხოვნით.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ა. ჯორჯაძე

თეა გვარამაძე